საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

სოციალისტ-ფედერალისტი

სამშაბათი აპრილის 5

1921 წ.

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12-29

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხალის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 1500 მან.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნატალია ალმასხანის ასული შვილებით ანიკო, ნინო, გიორგი და შალვა სიძეები პეტრე ქავთარაძე და ვანო ცაგარელი, ძმები: კონსტანტინე, ბესარიონი და დავითი ტარიელის ძენი მეუღლითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ აპრილის 6 ხუთს საათზე წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაზე (ვერა) იქნება გადახდილი მეცხრე დღის პანაშვიდი

ილარიონ ტარიელის ძის ლორთქიფანიძის

სულის მოსახსენებლად. 7

გულდამწვარი დედა ნინო გრიგოლის ასული, და—ელენე ივანეს ასული, ძმები: ალექსანდრე და კოწო ივანეს ძენი ივანიშვილები, ბებია ელისაბედ სვიმონის ასული, ბიძა სვ მონ და ბიცოლა ეკატერინე, დეიდა ქეთევან თითმერიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ აპრილის 3 გარდაცვალა ძათვის დაუვიწყარი მე-6-ე გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფე

ანეტა ივანეს ასული ივანიშვილისა

დაკრძალვა მოხდება ხვალ, აპრილის 6 გამოსვენება საკუთარ ბინიდან კახეთის ქუჩა № 10. 730.

ქვირას, აპრილის 3 ს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ეკონომისტი

გიორგი ივანეს ძე ფალავანდიშვილი,

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს დამწუხარებული მეუღლე თინათინი შვილებითურთ, დები: თამარა ამილახვრისა, ოლგა კობიაშვილისა, ძმა ნიკოლოზი და რძალი თამარი. პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზე, ცხედრის გამოსვენება ბინიდან (თომას შესახვევი 3) ოთხშაბათს, აპრილის 6-ს დილის 10 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დასაფლავება იმავე ეკლესიის გალავანში. 730

ოთხშაბათს, აპრილის 6-ს 5 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდახდილი იქნება პანაშვიდი ორმოცი დღის სოღანლუდის ბრძოლაში მოკლულ

ლეიტენანტ აკაკი ილარიონის ძე გრიგოლიასი,

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მწუხარებით აღტურვილნი დედა ნინო მამა ილარიონი, და თამარი და ძმა ანდრია გრიგოლიები. 726

გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტი“-ს

კანტორა სთხოვს ყველა დაწესებულებებს, რომ გაზეთისთვის მიჰმართონ პირდაპირ კანტორას, რადგანაც ეკსპედიციაში გაიგზავნება მხოლოდ კედლებზე გასაკრავი ნომრები.

სამშაბათს, მარტის 5-ს ხალამოს 5 საათზე

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ს.-ფედერალისტთა ორგანიზაცია

ნაძალადევის თეატრის დარბაზში

იწვევს საერთო კრებას

რომელზედაც მოსხსენებას გააკეთებენ

პროფ. შალვა ნუცუბიძე

და

ვახტანგ კოტეტიშვილი

თანამედროვე მომენტზე

დასწრება შეუძლია ყველას.

ჩვენი გზა

4.

მომენტი.

კლასობრივ სტრუქტურის პრიმიტიული ხასიათი საქართველოში შედეგია ეკონომიკის პრიმიტივების ცხადია, რომ ეს არაა შესაფერი ნიადაგი კლასთა ბრძოლის ფართოდ გასაშლელად. ესეც რა თქმა უნდა, ფაქტის საკითხია და არა სურვილების. ამდენადვე უკვე განვლილ ომის მთავარი საბაბი არ შეიძლებოდა ყოფილიყო კლასობრივ ბრძოლაზე აგებული პოლიტიკა. მაშასად უნდა ვეძიოთ ამ შეტაკების საბაბი? ასეთ საბაბია, უეჭველად, ორგანიზაციის საკითხი,

საქართველოს საგარეო ოფიციალი პოლიტიკა—ნეიტრალიტეტის პოლიტიკა იყო. ეს გამოცხადებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში და გასაგებიაცაა, რომ საქართველო ამ გზას დაადგა. ისეთი პატარა ერისათვის, როგორცაა საქართველო ნეიტრალიტეტის პოლიტიკა საუკეთესო პოლიტიკაა! ადვილად წარმოსადგენია ისეთი მდგომარეობა, როდესაც შეიძლება ორ დიდ ძალის, ორ დიდ ბანაკის ჭიდილის შემდეგ გენახორციელდეს საკითხი ერთ იდეალი, მაგრამ პატარა ერმა ეს ვერ იგემოს ფიზიკურ განადგურების გამო. [illegible] ლია პატარა ერის არსებობის საკითხად იქცეს. ამ მოსაზრებით ნეიტრალიტეტის მისაღები იყო და გასამართლებელი.

[illegible] კი მოხდებოდა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკის ნაცვლად ორიენტაციის საკითხი დაისმოდა, ცხადი იყო, რომ ეს ორიენტაცია ვერ გადაწყდებოდა ამ რიგად, რომ საქართველო მოჰყოლოდა ისეთს პოლიტიკურ ორბიტაში, რომლის მთელი დედა აზრი და არსებობა პატარა ერების სისხლზე და ძვლებზე იქნებოდა აშენებული. ცხადი იყო რომ ანტანტა და მისი ბელადი ინგლისი ვერ გამოდგებოდნენ პატარა ერის დამცველის როლში და დავორული ინტერესებით გამსჭვალულს მათი პოლიტიკა საქართველოს ეროვნულ თავისუფლებას ვერ უზრუნველყოფდა:

ცხადია, რომ თუ დაირღვეოდა საქართველოს ნეიტრალიტეტის პოლიტიკა, და ეს მოხდებოდა იმ პირობებში, რომ ერთის მხრივ იდგომებოდა ერების მონობაზე აგებული იმპერიალიზმი—მეორე მხრივ კი სოციალისტური ბანაკი, საქართველოს ორიენტაციის საკითხი პირველ ძალის საწინააღმდეგოთ უნდა გადაეჭრა და მეორე ბანაკში დამდგარიყო. ასე არ მოხდა. ნეიტრალიტეტი თანდათანობით ირღვეოდა ანტანტის სასარგებლოდ. ამით საქართველო არა თუ მოწყდა რევოლიუციას—იგი რევოლიუციას დაუპირისპირდა.

საქართველოს პოლიტიკურმა მესვეურებმა—მენშევიკურმა მთავრობამ ვერ აუღო ალღო რევოლიუციას; ფრაქციულმა ანგარებამ სრულიად მიანელა და დაჩლუნგა მათში პოლიტიკური სიფაქიზე და თავისი ვიწრო მიზნების მისაღწევად ყოველი საშუალება მისაღები გახადა. საკვირველი ის არი, რომ რევოლიუციას ჩამოშორებული მენშევიზმი ვერც თავის ერს დაუკავშირდა მჭიდროდ და კლასთა ბრძოლის ხელმძღვანელობაში დამარცხებული რუსეთის რევოლიუციაში, ეროვნულ ბრძოლის ხელმძღვანელებში ვერ გამოდგნენ საქართველოში. ისტორიაში დიდ კურიოზად დაჩნდება ის წარუხოცელი ფაქტი, რომ მენშევიზმი პატარა ერის თავისუფლებას, პატარა ერების მოსისხლე მტრის—იმპერიალისტურ აიტანტის მოსარჩლეობით უპირებდა გადარჩენას და დამკვიდრებას. ამ ფაქტის გაგება შესაძლო გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გვერდით გავიხსენებთ მენშევიზმის პოლიტიკურ ხეტიალის ისტორიას, რომლის პროცესსში საქართველო დასახული იყო, როგორც უკანასკნელი პოზიცია, რომელზედაც უნდა აშენებულიყო მენშევიზმის „თავრიზი“. აქედან ირკვევა ის რომ, საქართველო და მისი თავისუფლება მენშევიზმისთვის არ იყო თვით დირებული მიზანი, არამედ ტაქტიკური მომენტი. ამით ახსნება ისიც, რომ მენშევიზმის დამხობაზე ქართველი ხალხი არ სტირის.

შ. ნუცუბიძე.

ფურცლები

8

კრონშტადტ-ერევანის გამო.

თითქმის ერთსა და იმავე დროს მოხდა აჯანყება საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ კრონშტადტსა და ერევანში. თითქმის ერთსა და იმავე დროს მოხდა მათი ლიკვიდაციაც.

ჩვენ იმას არ ვამბობთ, თითქოს რაიმე გენეტიური კავშირი არსებობდა ამ ორ აჯანყებას შორის, ამ შემთხვევაში შესაძლოა ხსენებული გამოსვლები მოდა სრულიად სპარტიულად, მაგრამ არავის უნდა დაავიწყდეს ერთი წუთითაც, რომ საერთაშორისო რეაქციის ენდარმერიას ოდნავადაც არ სძინავს და ის ყოველ წუთში ამზადებს ათასგვარი საბის გამოსვლას რევოლიუციონური ქვეყნების წინააღმდეგ.

რუსეთის უკანასკნელ დროის ცხოვრებამ არ იცის ერთი ხანგრძლივი პერიოდი მშვიდობიანი ცხოვრებისა. მრავალი მოსყიდული ვიგინდარა სისტემატიურად ქმნიდა აჯანყებას და მით ღლიდა, ანუსტებდა რევოლიუციის დინამიკას. ვიდრე სამუდამოდ არ დასაფლავებულა ყოველგვარ აჯანყების და ომიანობის ბუდე—ევროპის იმპერიალიზმი—მანამდისინ ჩვენი მოვალეობაა ყოველ წუთს მოველოდეთ ახალ ახალ აჯანყებებს, მანამდისინ ჩვენი მოვალობაა ყოველთვის მზად ვიყოთ ამ აჯანყების სალიკვიდაციოთ.

თავი თავად ამ აჯანყებებს იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ბევრნი აწერენ მას. ყოველი ახალი საბჭოთა რესპუბლიკა თავის საშოში ატარებს ჯერ კიდევ დაუცხრომელ რეაქციონურ ძალას, ამ ძალათა მოლვაწეობა ხშირად გამოიხატება აჯანყებებში და თუ მაინც და მაინც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ გარემოებას—ეს იმიტომაც, რომ აჯანყებას დროზე ჩაქრობამ მინიმუმამდე დაიყვანოს უდანაშაულო მსხვერპლის რაოდენობა.

მართალია, ყოველგვარ უკმაყოფილებას, დრტვინვას და აჯანყებას აქვს ერთგვარი ნიადაგი ხალხში. ბევრს არ შეუძლია კრიტიკის თვალით განსჭვრიტოს მდგომარეობა, ბევრი ხედავს, რომ ბედნიერ სოციალისტურ წყობილების ნაცვლად ისევ ადგილი აქვს მშრომელი ხალხის სიღარიბეს, სიმშილს, წყურვილს, ბევრი ხედავს, რომ ჯერ კიდევ მოუწყობელია პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება ახალი რესპუბლიკისა, მაგრამ განა ეს მოუწყობლობა რევოლიუციის და სოციალიზმის სისუსტიდან გამომდინარეობს?

რამ გამოიწვია თვით ეს მით მოუწყობლობა, ანარქია და რევოლიუცია?—ეს გამოიწვია ბურჟუაზიულ წყობილების სიმდიდრემ და წესიერებამ კი არა, არამედ ბურჟუაზიულ კულტურის ქაოსმა, ანარქიამ და მასიურმა გადატაკებამ. ანტანტის ქვეყნები ჩვენ გაცილებით მეტ, მეტ აჯანყებებს და მეტ სიღარიბეს გვაჩვენებენ, ვიდრე რევოლიუციის ქვეყნები. მხოლოდ უმეცრება, მდგომარეობის შეუგნებლობა, შავრაზმული პსიხოლოგია მიაწერს ყოველივე უბედურებას რევოლიუციას. ევროპის შეგნებული პროლეტარიატი თან და თან შორდება ანტანტას და ის გადაჭრით იღებს აქტიურ შემოქმედების ტაქტიკას.

რას გვასწავლის ჩვენ ავსტრიის მაგალითი, სადაც მენშევიკური სოციალისტები შესცვალეს კათოლიკებმა, დაიწყეს მონარქიაზე ლაპარაკი და ბევრმა ავსტრიელმა კი წარმოადგინა ამით ცხოვრებაში მშვიდობიანობის დამყარება. აჯანყებული ავსტრიის მუშები დღეს სიმშილით და სიცივით ლონე მიხდილნი ისევ იცქირებიან რევოლიუციის ფრონტისაკენ, მაგრამ ავსტრიელი მუშები რენერის პარტიაში ალარ ჩერდებიან და პროლეტარიატის დიქტატურის ხმას უერთდებიან.

ევროპის პროლეტარიატის მასაში სისტემატიურად ფეხს იკიდებს იდეა საერთაშორისო რევოლიუციისა და ევროპის მუშები ამ მხრივ ვერ შეაშინა და ვერ შეაჩერა იმ რეაქციონურმა აკიტინამ. რომელიც საერთაშორისო რევოლიუციის თანამედროვე მებაირაღტარეს—რუსეთის მუშებს—საბავდა ბარბაროსობის წინამორბედად.

სტატია თანამედროვე სოციალურ ურთიერთობისა ჩვენ მიგვაქანებს სოციალიზმისაკენ ნურავინ ფიქრობს, თითქოს აჯანყებით განმტკიცდება ანტანტის საქმე, ანტანტას ვერ უშველა პროლეტარიატის დიდი ხნის მოთმინებამ, ხანგრძლივმა მყუდრო ცხოვრებამ და ხალხების ექსპლოატაციამ და აშკარაა აჯანყებების გზით ანტანტის ძალა ვერ დაამკვიდრებს რეაქციას.

ყოველივე აჯანყება ჩვენ უნდა განვიხილოთ ცხოვრებაში არსებულ ღრმა სოციალ-ეკონომიურ პირობების თვალსაზრისით ჩვენ მიგვაჩნია ყოველივე აჯანყება რევოლიუციის წინააღმდეგ უდიდეს უაზრობად, მარტო იმიტომ კი არა რომ ჩვენ რევოლიუციის შეფასებაში, არა, აჯანყებამ გაცილებით მეტი სახეც რომ მიიღოს რუსეთში—ეს ვერ გაანელებს და ალმოფხვრის თანამედროვე რევოლიუციონურ მოძრაობას.

ჩვენ სრულიად კრიტიკულად ვეფასებთ მომენტს. წარმოსადგენია ისიც, რომ რაიმე უკმაყოფილება გაისმას მოსკოვშიაც, მაგრამ ეს მხოლოდ გაიხანგრძლივებს პროცესს, მეტ დრამატიულ და ტრაგიკული ელემენტს შეიტანს მოძრაობაში ძალა ამით სრულიად არ მოისპობა თანამედროვე რევოლიუცია.

ყოველგვარი რეაქციონური სული და რევანშის გრძნობა უნდა ჩაიდრჩოს ერთხელ და სამუდამოთ. არც ერთს აჯანყებას არ მოუტანია ხალხისათვის შვება, კეთილი მდგომარეობა მხოლოდ სისხლი, მინდვრების გატაღლება, კეთილი მდგომარეობა. მხოლოდ სისხლი, მინდვრების გატაღლება, ოჯახის დამხობა—მოსდევს აჯანყებას. ეს განსაკუთრებით უნდა იცოდეს საქართველოს ხალხის ძალებმა, რომელნიც დღეს კიდევ ზომოქილი შუბლით დადიან ქუჩებში, კიდევ ვერ გამორკვეულან მდგომარეობაში და მით საეჭვოთ ხდის მთელ მის შემოქმედებას.

ნუ თუ ამ ძალებს არაფერს ეუბნება კრონშტანდიტს და ერევნის მაგალითი?

თედო ლელონტი.

გზა სოციალიზმისკენ.

1. *)

პოლიტიკური და სოციალური რევოლიუცია.

პოლიტიკურმა რევოლუციამ ტახტიდამ ჩამოაგდო კაიზერი, დაამხო პრივილეგიებზე აგებული წესწყობილება; ქვეშევრდომები მოქალაქეებად იქცნენ, ყველა გათანასწორდა. ხოლო პოლიტიკური რევოლუცია ნახევარი რევოლუციაა, მან მოსპო პოლიტიკური ჩაგვრა, მაგრამ დასტოვა ეკონომიური ექსპლოატაცია. პოლიტიკური რევოლუციის შემდეგ ეკონომიური გაყვლეფა კიდევ უფრო საგრძნობი შეიქნა მუშისათვის, ამიტომ პოლიტიკური რევოლუცია ბუნებრივად აძლიერებს სურვილს სოციალურ ცვლილებებისას.

დემოკრატიის გამარჯვება ცენტრალურ ევროპაში იყო შედეგი ცენტრალურ მონარქიების დამარცხებისა. ომმა დაამსხვრია ცენტრალურ იმპერიების სამხედრო ძლიერება, დაუძლურა მთავრობა და მით მიანიჭა გამარჯვება დემოკრატიას. ხოლო ამავე ომმა ერთიან შეარყია ეკონომიური ცხოვრება, რასაც აუცილებლად მივყევართ სოციალიზმისკენ.

ოთხ წელიწად ნახევრის განძვალობაში ხალხი სახლების ნაცვლად სანგრებს აშენებდა, მანქანების მაგიერ აკეთებდა ყუმბარასა და ზარბაზნებს, ყანა მიაგდო და ბრძოლის ველზე იყო. მიწა გაერანდა, მანქახები გაცვდა, რკინის გზები მოიშალა, ტანთ არავის აცვია რა, საზოგადოებრივი ქონება დაიღუპა. ომმა უსაზღვროდ გაადატაკა ყველა ხალხი.

მაგრამ ყველაზე მეტად გადარიბდა ცენტრალური ევროპა, ვინაიდგან ჩვენ (გერმანია-ავსტრიის ხალხი) დამარცხებულები ვართ და უნდა აუნაზღაუროთ გამარჯვებულებს სამხედრო ზარალი. რაც უნდა გადატაკებულნი ვიყვნეთ, უნდა გამოვიღოთ გამარჯვებულთა საარგებლოთ უზომო გადასახადი.

უნდა ვიმუშაოთ, ხოლო რისთვის? ყოვლის უწინარეს უნდა გავასუფთაოთ ჩვენი მიწა, უნდა გამოვცვალოთ გაცვეთილი მანქანები, უნდა აღვადგინოთ რკინის გზა. ამის შემდეგ უნდა მივქნათ საქონელი გამარჯვებულებისთვის ხარკის გადასახდელად. ასეთ პირობებში გვეყოფა სამუშაო ძალა?

ჩვენ მეტად ღარიბნი ვართ და განა შეგვიძლია მივსცეთ განცხრომისა და ფუფუნების ნება გრაფებს და ომის მეოხებით გამდიდრებულ უსაქმო მუქთახორებს? განა შეუძლიან ასეგალატაკებულ ხალხს მოითმინოს, რომ მისი შრომის მცირე ნაყოფი უსამართლოდ იქნეს განაწილებული? ჩვენი მდგომარეობა საშუალებას არ გვაძლევს ჩვენი შრომის ნაყოფი კაპიტალისტებს და მემამულეებს გაუზიაროთ. გვეყოფა რომ უცხოელ კაპიტალისტებს აუნაზღაურებთ ზარალს. არ შეგვიძლია ამასთან ერთად ხარკი ვაძლიოთ ჩვენს კაპიტალისტებს. ჩვენი აწინდელი ეკონომიური ძდგომარეობიდამ ერთად ერთი გამოსასვლელი გზა არის—სოციალიზმი. ომი, რომელმაც გამარჯვება მიანიჭა დემოკრატიას, გვაიძულებს დავადგეთ სოციალიზმის გზას.

მაგრამ როგორ უნდა დავამყაროთ სოციალისტური წესწყობილება, როგორ უნდა ჯადავსცეთ მშრომელ მასას ფაბრიკები და მაღაროები, ტყეები და სახნავი მიწები, იარაღები, თანხები, რომელნიც დღეს კაპიტალისტებს და მემამულეებს ეკუთვნიან?

პოლიტიკური რევოლუცია შეიძლება ერთი დღის საქმე იყოს. მონარქიის ნაცვლად რესპუბლიკის დაწესება, უმცირესობას პრივილეგიების მაგიერ ყველასი თანასწორობას დამყარება შეიძლება ერთი დაკვრის, ერთი დიადი სათის საქმე იყოს. ზოგიერთები ჰფიქრობენ, რომ ასეთისავე სისწრაფით, ასევე ერთბაშად შეიძლება მოხდეს ეკონომიური რევოლუცია, რომ მუშებს შეუძლიანთ ერთს მშვენიერს დღეს ერთბაშად დაეპატრონონ ფაბრიკეებს, მაღაროებს, სავაჭრო სახლებს, მიწებს და გაგდონ კაპიტალისტები და მათი დირექტორები. მაგრამ ჩაუკვირდეთ, მართლა ასეა საქმე? მართლა ასე უცბად და საჩქაროდ მოხდება სოციალური რევოლუცია?

ჩვენი კეთილდღეობა ორს რამეზეა დამოკიდებული: ერთია ის, თუ რამდენი საქონელი მზადდება, მეორეა—თუ როგორ ნაწილდება ეს სიმდიდრე სახოგადოებრივ კლასთა შორის. სოციალიზმი ცდილობს უპირველესად შესცვალოს სიმდიდრის განაწილების წესი. დღეს რომელიმე უსაქმური კაპიტალისტი, ომელსაც ბემკვიდრეობა მიუღია ძაძისაგან, გაცილებით მეტს იღებს სახოგადოებრივ ქონებიდან ვიდრე ყველაზე ბეჯითი და მუყაითი მუშა. ასეთი განსხვავება არ იქნება ადგილი სოციალისტურ სახოგადოებაში. მართალია იქ ხარმაცს და ბეჯითს, მცოდნეს და უვიცს, ბევრის გამკეთებელს და ცოტის გამკეთებელს ერთნაირად არ დააჯილდოვებენ. მაგრამ იქ დაფასდება ყოველი ნამდვილი სამსახური და ყველა ამის მიხედვით მიიღებს საქონელს საერთო სალაროდან. სოციალიზმი შესცვლის სიმდიდრის განაწილებას, ხოლო ეს მარტო მაშინ დაკმაყოფილებს მუშა ხალხს, თუ ამავე დროს არ მიხდება წარმოების შემცირება. თუ მაგალითად განახევრდა საქონლის რაოდენობა, მუშების მდგომარეობა გაცილებით უარესი იქნებოდა ვიდრე კაპიტალისტების დროს. ამისათვის სოციალიზმს ევალება მოაყენონ საქონლის სამართლიანი განაწილება, მაგრამ ისე რომ არ დაზიანდეს საქონლის წარმოება.

ჩვენ საშინლად გავღარიბდით. საწარმოვო აპარატის დაშლისა, ნედლი მასალის უქონლობისა, შრომის უნარის შესუსტებისა გამო (რადგან საკმაო საჭმელი არა გვაქვს) დღეს ნაკლებს საქონელს ვქმნით, ვიდრე ომამდე. რაკი ნაკლებს ვქმნით, ნაკლებსაც ვხმარობთ და რაც უნდა სამართლიანი განაწილება მოვაწყოთ, ყველა ნაკლებს მიიღებს. ამისთანა პირობებში უნდა ვერიდნეთ ყველაფერს, რაც კიდევ უფრო დაშლის საწარმოვო აპარატს, გაგვიძნელებს ნედლი მასალის მიღებას, შეამცირებს შრომის ნაყოფიერობას. ჩვენი სიღარიბე გვაიძულებს საქონლის სამართლიანი განაწილება დავაწესოთ, მაგრამ იგივე გვაიძულებს ასე მოვახდინოთ ეს ცვლილება, რომ არ დაზიანდეს საქონლის წარმოება.

წარმოვიდგინოთ ერთ წუთს, რომ მუშებმა ერთს მშვენიერს დღეს ძალით ჩაიგდეს ხელში მთელი წარმოება, გაეძევეს კაპიტალისტები, გამგეები, მოსამსახურეები ეს შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო ომის მეოხებით. სამოქალაქო ომი კი გამოიწვევდა საწარმოვო იარაღების დანგრევას, და ისედაც დასუსტებული აპარატი მთლათ შეჩერდებოდა. კაპიტალისტური უცხოეთი აღარ მოგვცემდა მასალას, მოგვისპობდა კრედიტს, სულს შეგვიხუთავდა ბლოკადით. დირექტორების, ინჟენერების, ქიმიკოსებს, გამგეების და ოსამსახურეების უმრავლესობა აღარ მოინდომებდა ჩვენთან თანამშრომლობას. თვითონ მუშებს კი არ მოეპოვებათ საკმაო ცოდნა წარმოების გასაძღოლად. მერე სამოქალაქო ომში ნაბუღნი ვერც იმუშავებდნენ დამშვიდებით. ყველაფრის ამას შედეგი იქნებოდა წარმოების შემცირება და სამართლიანი განაწილება საქონლისა საქმეს ვერ უშველის ხალხს, რომელიც სოციალიზმისაგან მთელის თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას, დეეკარგებოდა სოციალიზმის ნდობა და პატიოსანი ევოლუციის, და ადვილად გადავარდებოდა კაპიტალისტურ კონტრრევოლუციის ტალღებში.

უნდა ავირჩიოთ სხვა გზა. მიზანშეწონილის საორგანიზაციო მუშაობით თანდათან უნდა მიუახლოვდეთ მიზანს. შეუძლებელია დავშალოთ კაპიტალისტური ორგანიზაცია, თუ არ გვაქვს შექმნილი სოციალისტური ორგანიზაცია, რომელიც ისევე კარგად (თუ არა უკეთესად) გაუძღვება წარმოებას. პოლიტიკური რევოლუცია ძალდატანების შედეგი იყო, სოციალური რევოლუცია კი არის საქმე შემოქმედებითი საორგანიზაციო მუშაობისა. პოლიტიკური რევოლუცია რამდენისამე საათის ნაყოფია, სოციალურ რევოლუციას კი განახორციელებს მრავალი წლის გამეტებული მაგრამ შეგნებული მუშაობა. მარქსის სიტყვით, პოლიტიკურ რევოლუციას შეუძლია ხოლოდ „გაანთავისუფლოს მომავალი საზოგადოებრივ ელემენტები“ ხოლო ახალი საზოგადოების აგება ამ ელემენტებისაგან არის საქმე, რომელიც გაკეთდება არა ბრძოლით ქუჩებში და სამოქალაქო ომით, არამედ შემოქმედებითი მუშაობით კანონმდებლობისა და მართველობის სფეროში.

ხ. ფ.

სომხეთში

3 აპრილის ოპერატიული ცნობა.

ჩვენმა მამაცმა ჯარებმა. რამდენიმე ბრძოლის შემდეგ მტერთან, რომელიც უწევდა მედგარ მოწინააღმდეგობას, 2 აპრილს. 18 ს. 5 წ. ბრძოლით აიღეს ქალ. ერევანი.

ბათომში

უცხოელნი აპირებენ საბჭოთა საქართველოსთან ვაჭრობის დაწყებას.

ბათომი, 2—4. ბათომში დარჩენილ მსხვილ უცხოელ ფირმებს ემჩნევა ინტენსიური სამზადისი საბჭოთა საქართველოსთან ვაჭრობის დასაწყებად. სტამბოლში დიდის ყურადღებით სწარმოების გამორკვევა საქართველოში, რათა გაძოგზავნონ აქეთ მოგროვილი საქონელი.

აპარა მიეხალმება საბჭოთა ხელისუფლებას.

ბათომი, 2—4. აპარის სოფლებში შესდგა მიტინგები, რომლებზედაც მიიღეს საბჭოთა ხელისუფლების მისალოცი რეზოლიუცია.

აღრიცხვაზე.

ბათომი, 2—4. ოსკომის განკარგულებიბი საგანგებო აღრიცხვის კომისია შეუდგა ბათომში და ფოთში ყველა საქონლის და მასალების აღრიცხვას.

ამხ. ქავთარაძის დეპეშა.

ამხ. ქავთარაძემ ბათომიდან დეპეშით აცნობა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას, რომ ... ფოთით — ვგზავნი სასელმწიფო ... გთხოვთ გამოგზავნოთ სპეციალური მატარებელი პარტიების, ფრაქციების და დამფუძნებელ კრების წევრთა ‘ასაყვანად. მათ გადაწყვიტეს შეიკრიბნენ ტფილისში, რათა ერთ-ხმად მიღებულ რეზოლიუციით დაგმონ წინანდელი მთავრობა. მე პრინციპიალურად მოვიწონე მათი გადაწყვეტილება. მასსები მშვენიერ გუნებაზე არიან. ხელისუფლების ავტორიტეტი მეტად მაღლა დგას. ინტელიგენცია ბეჯითად თხოულობს სამუშაოს. აუცილებლათ ყველა ღონისძიება უნდა მივიღოთ ბათომის მოსახლეობის შესამცირებლად უცხოეთის კომერციულ წრეების ნდობა იზრდება. იტალიელი გემი „გეორგი“ წავიდა ტვირთით. კიდევ ველით გემების მოსვლას მე ორი კომისია დავსაშნე აპარისა და ქობულეთის ხალხისთვის ჯარისაგან მიყენებულ ზარალის გამოსარკვევათ. მინიმალური ნაწილი ანაზღაურებული იქმნება მანუფაქტურით.

შ. ვადაჭკორიას სსოვნას.

ბათომში ვერაგ მტერთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა სხვა მრავალ ამხანაგების შორის ერთი ძვირფასი ამხანაგი შ. ვადაჭკორია.

განსვენებულს ულმობელმა ბედმა ძალიან ადრე მოუსწრაფა სიცოცხლე. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ჯანღონით აღსავსე იყო. მას კიდევ ბევრი სამსახური შეეძლო თავის სამშობლო ქვეყნისათვის. მასში იყო ამისათვის საკმარო ენერგია და ხალისი

განსვენებულს დიდი ამაგი მიუძღვის თავის ქვეყნისა და ჩვენი პარტიის წინაშე. მან სკოლის სკამებიდან შემოდგა ფეხი ჩვენს პარტიაში და ჯერ კიდევ ხონის გიმნაზიის მოწაფე ჩვენი პარტიის ხონის ორგანიზაციის ენერგიულ მუშაკად ხდება. ის ამ დროს აარსებს მოწაფეთა შორის წრეებს, აწყობს რეფერატებს, მოხსენებების კითხვას და თვითაც ეტანება თვითგანვითარებას.

1917 წ. რევოლიუციამ მას სკოლის სკამზედვე მოუსწრო ამ რევოლიუციის აღფრთოვანებული და გატაცებული ... მიუხედავად მოწაფის ფორმისა, მოწაფეთა ვიწრო ორგანიზაციებიდან სახოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე გამოდის და ყოველგვარ საზოგადო საქმეს

პეტრე კროპოტკინი

პიროვნება და დოქტრინა.

(დასასრული)

შრომის თანასწორად შეფასებიდან, სამართლიანობის გზით, კროპოტკინს მივყევართ ანარქიულ კომუნიზმამდე. თავის ნაშრომში: „La couquéte du pain“, კროპოტკინი არკვევს ამ გზას. რასაკვირველია ეს გზა არის როვოლიციური. მის გარეშე ვერც მოხდება რაიმე გარდაქმნა, რომ საზოგადოებრივმა ცხოვრებამ მიიღოს ახალი მიმართულება და შინარსი. და „გზნებულ მებრძოლს სწამს საოცნებო წყობილების სიახლოვე. ტექნიკის თანამედროვე მდგომარეობამ იმდენი სიმდიდრე დაახვავა, რომ რეოლიუციის მეორე დღეს, მცოდნე ხელი შესძლებს კომუნისტ-ანარქისტულ რეჟიმის დაყრებას. რევოლიუციის იღეა კი ახლო მომავალში ჰქონდა. სწამდა, რომ ერთგან დანთებული ცეცხლი გადავრდებოდა ყველგან, აინთებოდა ევროპა, ყველგან, თავისებურ ხასიათს მიიღებდა, მაგრამ ყველგან მაინც გადასწვავდა ძველი საზოგადოებრივ განწყობილებათა სიავეს.

რასაკვირველია, მისი ოპტიმიზმი საკურველი კატეგორიის ნაზარდი უფრო იყო, ვიდრე სინამდვილით წელ-გამართული, მაგრამ ეს ასე ჰბდება ყოველთვის.

ღრმა რწმენა, რელიგიურ ექსტაზის მწვერვალამდე ასული, სინამდვილესაც მაღლიდან უკქერის, და სადაც სიმაღლეა, იქ სიშორეც არის. და ეს ვარემოება თუ ანელებს კროპოტკინის მეცნიერულ სისწორეს, სამაგიეროდ ამაღლებს მის როვოლიუციონურ პათოსს, ადამიანურ კეთილშობილებას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კროპოტკინის მიერ გაბოყვანილი დასკვნები ძაინც მისაღებია არიან. შესაფერი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, თანამედროვე წარმოებაზეა ... ...

ში მხურვალე მონაწილეობას იღებს. მას უხდებოდა მუშაობა ხონისა და მის ახლო მახლო სოფლების რაიონში, სადაც დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

განსვენებული დრო გამოშვებით სწერდა ჩვენს პარტიულ პრესაშიაც. სწერდა „ხალხის მეგობარში", „ზვირთში" და „სახალხოში".

საზოგადოებისათვის მისი დაკარგვა მნიშვნელოვანია, მაგრამ დიდი ნამეტურ დანაკლისია ჩვენთვის, მის პირად მეგობრებისათვის. აქ ის ძვირფასი ამხანაგი და მეგობარი იყო ყოველი ჩვენთაგანისთვის. მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო! საუკუნო იქნება შენი ხსოვნა ჩვენს შორის.

გ. მ.

ხელოვანთა საზოგადო კრება

კვირას, აპრილის 3-ს ხელოვანთა სასახლეში შესდგა ხელოვანთა საერთო კრება. ერთხმად არჩეულ იქმნენ თავმჯდომარეთ ამხ. აკაკი პაპავა და მდივანი, ამხ. კოკი აბაშიძე. კრებას დაესწრო ასამდე ხელოვანი.

კრებამ მოისმინა მოხსენება დროებით მთავარ კომიტეტის მოქმედებისა და საერევნო კომისიის მოხსენება კომიტეტის მიერ დღემდე გაწეულ ხარჯების შესახებ. მცირე კამათის შემდგომ, კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიდაც მადლობას უცხადებს დროებითი კომიტეტს გაწეულ შრომისათვის.

ამის შემდეგ კრება გადადის მუდმივ კომიტეტის, სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ სახელოვნო კოლეგიისა და საერევნო კომისიის წევრთა არჩევის საკითხის განხილვაზე. ხანგრძლივი კამათის შემდგომ, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს გრ. რობაქიძემ, ილ. ადლაძემ, ტ. ტაბიძემ, პ. იაშვილმა, იპ. ვართაგავამ, კ. აბაშიძემ, ელიაშვილმა და სხვ. კრება ერთხმად იღებს წინადადებას, რომლის თანახმად დროებითი კომიტეტის წევრი ასახელებენ სექციები და ამტკიცებს საერთო კრება. კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრა 11 წევრითა, ამათ შორის 4 მწერალი, 3 მსახიობი და ორ-ორი მუსიკოსთა და მხატვართა წარმომადგენელნი. სახელოვნო კოლეგიის წევრთა კანდიდატების არჩევის დროს დაცული იქმნა პარიტეტული წესი არჩევნებისა.

კაბაშიძის წინადადებით, კრებამ ერთხმად დაადასტურა მთავარ გამგის მოადგილის კანდიდატის არჩევა საერთო

არსებულის უარმყოფი, მშობელ ქვეყნიდან გაძევებული, უცხოეთში თან ატარებს სევდას რუსეთის გამო, პირველ შემთხვევისათანავე მოჰქრის ემიგრანტი დედა-ოსკოვისაკენ, კვლავ გაურბის სამშობლოს რეაქციის გამეფებისას, და 1917 წლ. რევოლიუციით ხელ გახსნილი კვლავ უბრუნდება სამშობლო კერას, და მშობლიურ მიწაზევე თავის ერს უტოვებს დიდ ანდერძს.

კრაპოტკინის ეს უდიდესი პატრიოტული მოქმედება ბევრის მთქმელი იყო ყველა ურწმუნოსთვის. თუმც ამ მოქმედების გარდა ბევრი რამ სთქვა მშობელ ერის შესახებ როგორც უკეთილშობილეს პატრიოტმა.

დიახ, ეროვნულ საკითხის შესახებაც კრაპოტკინი ძართალ გზას დაადგა.

ამ სფეროშიც იგი სიმართლეს ეძიებდა, ღრმა ალღოთი ძას მიაგნო კიდეცეს უდიდესი რევოლიუციონერი ანარქისტი ამ ორი თვის წინედ მოსკოვში გარდაიცვალა. რუსეთის სინამდვილე რევოლიუციის მიერ ამობოქრებული, საუკეთესო პირობაა კრაპოტკინის გარდაცვალებისთვის. წყნარ პირობებში კრაპოტკინის გარდაცვალება თითქოს მიუღებელიც იყო.

მთელი მისი სასოება ამ დიადი გარდაქმნისკენ იყო მიმართული. მას ადარ დასცალდა რევოლიუციის ნაყოფის ნახვა. რუსეთის რევოლიუციას მაინც უსურვოთ კრაპოტკინის სიმართლის განხორციელება.

ხოლო ჩვენში კი, ვინც რევოლიუციის ჯვაროსნობაზე ვოცნებობთ, მუდამ ხმაურობდეს კრაპოტკინის მართალი ხმა, მუდამ მოქმედობდეს მისი კეთილშობილება, და მუდამ გვანთებდეს მისი ცეცხლი და გამბედაობა.

ვახტანგ კოტეტიშვილი

კრების მიერ და შ. დადიანის წინადადებით საერევნო კომისიის თავმჯდომარისა.

მთავარ კომიტეტში არჩეულ იქმნენ: სამსონ ფირცხალავა, ვარლამ რუხაძე, პაოლო იაშვილი, იპოლიტე ვართაგავა, ალექსანდრე წულუკიძე, კორიშელი, ბალანჩივაძე, არაყიშვილი, სიდამონ ერისთავი და ჩუბინაშვილი და კანდიდატებათ—იოსებ გრიშაშვილი, ოპოლი მუშა, ტიციან ტაბიძე, შიო ღვიმელი და კ. ანდრონიკაშვილი.

სახელოვანო კოლეგიაში: მთავარ-გამგეობის მოადგილეთ აკაკი პაპავა, სალიტერატურო განყ. ალ. აბშელი სამუსიკო ს. ფალიაშვილი, სამხატვრო მ. თოიძე და სათეატრო შ. დადიახი. საერევნო კომისიაში: თავმჯდომარეთ—ექ. ელიაშვილი, წევრებათ: გუნია, სოღუნლაშვილი, შავარდნაძე და იორდანაშვილი.

დაბოლოს კრებამ ერთხმად აირჩია მთავარ კომიტეტის წევრად კოტე მაყაშვილი პირველი სხდომა მთავარ კომიტეტისა დანიშნულია 4 აპრილს ხელოვანთა სასახლეში.

ახალი ამბები

— **ქვა-ნახშირით გათბობა რკინის გზის ნაწილზე.** სადგურ ყვირილ დან ბათუმამდე და ფოთამდე ნავთის კრიზის, გამო ორთქლმავლები. აპრილიდან ქვანახშირიდ იქნებიან გახურებულნი.

— გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტის" შეძენა შეიძლება ყოველ საღამოს პარტიის მთავარ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1).

— **მიხალმება საქართველოს რევკომს.** ტფილისი, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის რევკომს. ხობის რაიონის რევკომის წევრები მხურვალე სალამს უძღვნის სოციალისტურ რუსეთის წითელ ჯარების თავგანწირულ ბრძოლათ მოპოვებულ გამარჯვებას, მხურვალე სალამი იმ მრავალ ტანჯულ ამხანაგებს, რომლებმაც ხელი შეუწყეს ძოდალატე მენშევიკების მთავრობის ჩამოყენებას და საქართველოში მუშათა და გლეხთა უფლების დამყარებას. სალამი საერთო პროლეტარიატს, რომელიც გიგანტიური ნაბიჯებით ფეხს ქვეით მოთელვას უქადის მომაკვდავ ბურჟუაზიულ მსოფლიოს და ყვითელ მეორე ინტერნაციონალს, გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს, გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. ხობის რევკომის თავმჯდომარე თურქია.

— **აჭარაში.** სოფ. ქედში, აჭარაში, ამორჩეულია დროებითი რევკომი ამხ. ვორონინის თავმჯდ მარეობით. საოლქო რევკომის წევრები აჭარლები ქობულეთსა და აჭარის სხვა სოფლებში წავიდნენ.

— **ბორჯომიდან.** საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ მიიღო შემდეგი დეპეშა: „ბორჯომის მუშების კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამხ. ნაგ გიორგი ელისაბედაშვილისა დღევანდელ მომენტის და თანამედროვე საკითხის შესახებ, დაადგინა: „სალამი უძღვნის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის პროლეტარიატს და მის ავანგარდს წითელ არმიას. ფიცს სდებს მუშურ გლეხურ ხელისუფლების განსამტკიცებლად და მოწინავე ამხანაგების მიერ გადადგმულ ნაბიჯს, ხელი შეუწყოს და მთელი თავისი არსებით ბრძოლის მისი გამარჯვებისთვის. ვრაცხთ ჩვენ მოვალეობათ მივიღოთ მხურვალე მონაწილეობა მხოლოდ პროლეტარიატთან ერთად საბჭოთა რესპუბლიკის და კომუნიზმის დამყარებაში.

გაუმარჯოს რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ გლეხკაცობას. და მის წითელ არმის მებაირაღტრელენს. ტროცკის, ჯუღაშვილს და სხვებს გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს და მის ერთ რაზმთაგანს საქართველოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას. მიტინგის თავმჯდომარე ვასილ ლევანიძე.

— **კვარცხანას ქარხანა მუშაობს.** ოსმალებისაგან განთავისუფლებულმა კვარცხანის სპილენძის ჩამომსხმელ ქარხანაში განახლდა მუშაობა.

— **ბათუმის გაჯანსაღება.** ბათუმისა და ბათუმის ოლქის სახალხო ჯანმრთელობის კომისარმა ამხ. მამულიამ გამოაქვეყნა ბრძანება ქ. ბათომის გაჯანსაღების შესახებ.

— **ხურამიდან.** ხურამის სახალხო კლუბში მომხდარმა მიტინგმა, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. გიორგი ელისაბედაშვილმა. შემდეგი რეზოლიუცია მიიღო.

ჩვენ ქალაქ ხურამის და მისი მახლობელი სოფლების მცხოვრებნი სალამს უძღვნით საქართველოს რევკომს, რომელიც ეშმარიტი გამომხატველი და მედგარი დამცველია მუშათა და გლეხთა ინტერესებისა. ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ჩვენი მარადის თანხმობით და წითელი არმიის მამაცური ბრძოლის საბოლოო გამარჯვებას მოუპოვებთ მაშვრალთა კერას.

ზიზღსა და კრულვას უცხადებთ ძველს, ლტოლვილ მენშევიკურ მთავრობას, რომელმაც ჩამოგვაშორა რუსეთის რევოლიუციონურ გლეხკაცობას და რევოლუციის აკანგარდ პროლეტარიატს, საქართველო დადუპვის გზამდის მიიყვანა.

იმედს გამოვსთქვამთ, რომ აღდგენილი კავშირით და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის გზათ ჩვენ ავ ყვავებთ ჩვენს მუშურ-გლეხურ სამშობლოს და სრულის გამარჯვებით ბურჟუაზიაზე გავამეფებთ კომუნისტურს წესწყობილებას.

გაუმარჯოს საქართველოს რევკომს და წითელ არმიას, გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას, გაუმარჯოს სოფლის რევოლიუციას და მის მეპაირახტრეს მესამე ინტერნაციონალს. მიტინგის თავმჯდომარე ბ. ნადირაძე.

სოც.-ფედერ. პარტიაში

საქართვ. სოც.-ფედერ. სარეგოლიუციო პარტიის ტფ. ხალალაქო კომიტეტის დადგენილების თანახმად ყველა პარტიის წევრი სარეგისტრაციოთ და პარტიულ საწევრო ბარათის მიხალებად უნდა გამოცხადეს პარტიის მთავარ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ № 1) კომიტეტის მდივანთან, რომლის სახვა შეიძლება ყოველ დღე ხალ 6—9 დის.

კვირას აპრილის 3-ს ქართულ დრამის (არტისტიული სახ.) თეატრის დარბაზში ჩვენი ორგანიზაციის მიერ მოწვეულ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების მუშა მოსამსახურეთა მრავალ რიცხოვან კრებაზე, რომელზედაც დაესწრო 3000-მეტი მუშა-მოსამსახურე, მოხსენება გააკეთეს ამხ. შალვა ნუცუბიძემ თანამედროვე მომენტის შესახებ და ამხ. თეკო ღლონტმა ჩვენი პარტიის ტაქტიკის შესახებ.

მოხსენების შემდეგ ილაპარაკეს კომ ცეკას მიერ გამოგზავნილმა ოფიციალურმა ოპენენტმა სტუდენტმა პლ. კოტაძემ, მოხელე ღვამიჩავამ და კომუნისტმა ქურიძემ, რომლებსაც ამხ. შალვა ნუცუბიძემ მოხდენილი პასუხი გასცა. დასასრულ კრებამ მიიღო დრ. მთავარ კომიტეტისა და პროფესიათა წარმომადგენლების საგანგებო კრებაზე მიღებული რეზოლიუციანი წესაძლებელ 7 ხმისა, რომელიც ჯერ დაბეჭდილ იყო ჩვენი გაზეთის აპრილის ნომერში.

კრება დაიწყო თერთმეტის ნახევარზე და დასრულდა 4 საათზე.

რადიო

მსოფლიო მეურნეობის კრიზისი.

მოსკოვი. აპრილის 1. კაპიტალისტურ ქვეყნებში განიცდიდა ისეთი ძლიერი კრიზისი, რომლის მგზავსი ჯერ არ ყოფილა. კრიზისის ინტენსივობა აიხსნება იმით, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალისტური მეურნეობის კრიზისი რთულდება იმ ქვეყნების კრიზისით, სადაც კაპიტალიზმი იხრწნება. ევროპის კონტინენტალური ქვეყნებში კაპიტალიზმა ვერ შესძლო განთავისუფლებულიყო ომის შედეგებისაგან და აწრაფის დაცემის გზაზე დგას. ბურჟუაზიას აღარ შეუძლიან უბრუნველ ჰყოს ყველა მცხოვრებთა არსებობა. ევროპიელი მუშების ამიტომ თანდათან ამცირებენ შრომის ნაყოფიერებას და მთელი რიგი გაფიცვებით აახლოვებენ კაპიტალიზმის ბოლოს. მეურნეობის დაშლა და და მისი სისუსტე ემჩნევათ ინგლისის და ევროპის ნეიტრალურ ქვეყნებში. ინგლისის ხარჯზე მდიდრდებიან ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია, სადაც კაპიტალიზმი ძალიან გაიზარდა". ამ ქვეყნების პოლიტიკის განსაკუთრებული მომენტები ხასიათდება შემდეგით: 1) დიდი ექსპორტი. 2) კაპიტალის საზღვარ გარეთ ამუშავება. 3) მეტოქეობა შეიარაღებულთა შორის. 4) ძალადობით კოლონიალური პოლიტიკა და 5) ბეჯითი მზადები მსოფლიო ახალი ომისთვის.

ამერიკაში დაწყებული და ევროპის ქვეყნებში გავრცელებული ეკონომიური კრიზისი ძალიან გართულდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ რუსეთი აღარ გამოდის მყიდველის სახით. 2) კონტინენტალურ ქვეყნებს არ ძალუძთ რაიმე დირებულების მიწოდება. 3) სამხრეთ ამერიკას, სამხრეთი აფრიკა, ავსტრალია და აზიის ზოგიერთი ქვეყნები ვერ გამოვლენ მყიდველებად, რადგან ეს ქვეყნები თვითონ ანვითარებენ საკუთარ მრეწველობას. შეკავშირებული კაპიტალი ცდილობს, რომ კრიზისი მთელი სიმძიმე დააკისროს მუშათა კლასს. ამიტომ ყოველდღე იზრდება უმუშევრობა. ეს გარემოება უფრო აძლიერებს პროლეტარიატში უკმაყოფილებას და ავრცელებს კრიზისს მთელ მსოფლიოში.

რევოლიუციონური მოძრაობა ინდოეთში.

ლონდონი. 14 გაზეთი „ტაის"-ს ბეჭდავს ინდოეთის რევოლიუციონურ მოძრაობის ბელადის განდის განცხადებას. რომლის შინაარსიც ამაში მდგომარეობს, რომ ინდოეთში ბურჟუაზიულ-რევოლიუციონურ-ეროვნულ მოძრაობას ქვეშ აწიფდება წითელი რევოლიუციონური მოძრაობა. ინდოეთში სწრაფად დგებიან ფეხზე მუშათა მასსები, ეწყობა რევოლიუციონური პროფკავშირები და ყველგან გაფიცვები ხდება. ინდოეთის კომუნისტებმა მთელი ძალ ლონით მხარი უნდა დაუჭიროს ინდოელ-რევოლიუციონერეთის ძალისხმევა ფრთას.

მფრინავი გემები.

მოსკოვი, 24 3 გაზეთი „ეკონომ-ეკონომიური" იტყობინება, რომ ბრიტანეთის საადმირალო შეუდგა ახალი ტიპის გემების შნებას, ეგრედ წოდებულ „მფრინავ გემების" ესენი წარმოადგენს პატარა გემებს ფრთებით. გემეის ეკიპაჟი შესდგება 7 კაცისაგან. გემზე ძოწყობილია 5 ტყვიის მფრქვეველი. პირველ ორ მფრინავი ნავის წყალში ჩაშვება მოხდება 15 მაისს.

მუშათა უზრუნველყოფა.

ლონდონიდან ამბ. კოასინისგან მიღებულია შემდეგი დეპეშა: „პეტროგრადისთვის შეკისყიდეთ 2 ათასი ტონა ლობიო ნახ. გირვანქა სტერლინგათ ტონა 50 ტონა ღორის ქონი 85 გირვ. სტერლინგად, 500 ტონა ბრინჯი 13-ნახ გირვ. სტერლინგად, 60 ტონა ძროხის ქონი 50 გირვანქა სტერლინგად, 500 ტონა მუხუდო 13 გირ. სტერ. 5 ათასი ფუთი ხორცის კონსერვებისა 2 გირვ. სტერლინგად-სულ 43,500 გირვ., რაც ბარჯებიანათ დაახლოვებით 50,000 გირვ. სტერლინგი დაჯდა. ამ ნივთებით დატვირთული გემი რეველში მარტის დამლევს მოვა.

საგაჭრო დამოკიდებულება ევროპასთან.

საგაჭრო დამოკიდებულება ევროპასთან დღითი-დღე მტკიცე ხდება, „პრავდა"-ს ცნობით, ჩვენმა საზღვარ გარეთის აპპარატმა დაათვალიერა ევროპის ბაზარი, რის შემდეგაც გაკეთულ იქმნა ბრძანება; შესყიდულ იქმნას ლიტვის კოოპერატორებისაგან ხორბალი, დიკა და ქონი. ლონდონში შესყიდულია 120 000 ფუთი ლობიო, 30 ფუთი ბრინჯი. 3,600 ფუთი ძროხის ხორცი 2,500 ფუთი ღორის ქონი და 30 ფუთი მუხუდო. ფინლიანდიაში შესყიდულია 10 ვაგონი გამხმარი ბოსტნეულობის მცენარე, როგორც კომბოსტო, ცერცვი და სხ.

ერევნის ალების გამო.

ერევანი. 3—4. (დასაწყისი არ არის მიღებული).. მუშებმა და გლეხებმა, დაამარცხეს რა ავანტიურისტთა ჯგუფის ბანდები, დაიკავეს საბჭოთა სომხეთის დედა-ქალაქი ერევანი და საბოლოოდ აღმართეს ქალაქის კიდეებზე შრომის წითელი დროშა. მთელი მოსახლეობა თვალცრემლიანი და დიდის ზეიმით შეხვდა მუშათა და გლეხთა წითელ რაზმებს. საბჭოთა ერევანი შეგზავნის მხურვალე სალამს მესამე ინტერნაციონალს და მსოფლიოს რევოლიუციის ბელადებს ამბ. ლენინს, ტროცკის, ზინოვიევს, სტალინს და ბრძოლაში გამობრძმედილს მშრომელთა ბელადს.. (დასასრული არ არის მიღებული)..

ს. ფედერალისტ-ფარმაცევტთა კრება

პარასკევს, აპრილის 1-ს, ნაშუადღევს ბელთა კლუბში მოხდა მრავალრიცხოვანი კრება ტ. ფ. ფარმაცევტებისა, სადაც ... ...

რალური 38 კაცისაგან. და ყოფილ ცეცხლის მჭრობელ თავისუფალ საზოგადოებისა 12 კაცისგან ამის გამო ცეცხლის მჭრობელნი დაგვიანებით მიდიან ხოლმე ცეცხლის გაჩენის ადგილას. ცეცხლის მჭრობელი რაზმი რომ რაც იტონალურათ მოქმედობდეს, ამისთვის საჭიროა, ის ემსახურებოდეს არა უმეტეს ორი ვერსის რადიუსს, მხოლო ტფილისის ცეცხლის მჭრობელთ 12 ვერსის მანძილზე უხდებათ მოქმედება. ნაკლს წარმოადგენს აგრეთვე ის გარემოება, რომ ცეცხლის საჭრობი ონკანები დაშორებულია ერთი ერთმანეთისაგან 2—3 ვერსის მანძილზე მაშინ, როდესაც ონკანები უნდა იყვეს 50—60 საჟენზე მაინც. ქალაქის რევკომმა ბრანდ-მესტერის მოხსენების გამო დაადგინა:—1) გამოსცეს საგალდებულო დადგენილება საკვამლე მილები გაწმენდის შესახებ, 2) წინადადება მიეცეს ცეცხლის მჭრობელ რაზმს მოაწყოს მილის მწმენდელთა რაზმი, 3) მიდებულ იქმნას ზომები, რათა ცეცხლის მჭრობელი რაზმი ცხენების მაგივრად მექანიკური მამოძრავებელით მოქმედ (№ 4) მოიწყოს.

ცეცხლის მჭრობელი მესამე რაზმი ავლაბარსა და ნავთლუღის მიჯნაზე.

შრომის-ხალხლხო კომისარიატი.

შრომის სახალხო კომისარიატი შესდგება სამი წევრისაგან: ერთი წარმომადგენელი შრომის სახალხო კომისარიატის, ერთი წარმომადგენელი პროფკავშირების საბჭოებისა და ერთი წარმომადგენელი სახალხო სამეურნეო საბჭოსი.

ამხ. გიკს მიენდო შეიმუშაოს ინსტრუქცია ქვეგანყოფილების მოქმედების შესახებ და შექმნას სამაზრო და სარაიონო მუშა ხელის აღმრიცხავი ქვეგანყოფილებები. ქალაქ პეტროვსკი თევზის სამრეწველოში 1000 უბრალო მუშის გაგზავნის შესახებ შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა, გამოიკვლიოს ნაწილობრივი მობილიზაცია უბრალო მუშებისა და გამოაქვეყნოს მუშაობის პირობები.

შრომის სახალხო კომისარიატის თანამშრომლები უნდა მოწვეულ იქმნენ მუშა-ხელის აღმრიცხველ და განაწილებულ განყოფილების მეთხებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამშრომელს იწვევენ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

სალიკვიდაციო ფულის ნორმის შესახებ შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა, კერძო მწარმოებლებისათვის დარჩეს ძალაში ყოფილ ცენტრალურ მომრიგებელი კამერის ნორმა.

იმ შემთხვევებში, როდესაც მუშა-მოსამსახურე კარგავს სამუშაოს, წარმოების რეკვიზიციის გამო, სალიკვიდაციო ფული ეძლევა სახელმწიფოსაგან და წესდება შემდეგი ნორმა: თვითეული წლის სამსახურისთვის ერთი თვის ჯამაგირი, მაგრამ საზოგადოთ არა უმეტეს სამი თვის ჯამაგირისა.

დ ა ნ ი შ ვ ნ ა.

ქალაქის რევკომის აპრილის 1-ს სხდომაზე დანიშნეს: 1) კომუნალური მეურნეობის კოლეგიის წევრებათ ამხ. გვიჩია, ბაკრაძე და სოკოლოვი, რომელთაგან უკანასკნელი დაინიშნა კომუნალურ მეურნეობის გამგის ამხ. ვაშაძის მოადგილეთ, 2) ქალაქის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის წევრი ამხ. ალექსანდროვი-ქალაქის რევკომის კოლეგიის წევრათ და 3) კომუნალურ წარმოებათა ქვეგანყოფილების გამგეთ ინჟინერი ბესელიძე.

მეტი ყურადღება სოფელს

(წერილი ფრონის ხეობიდან, გორის მაზრა)

ვინ არ იცის, რომ თავიდანვე სოფელი განიცდის უპატრონობას, უყურადღებობას, არ იდგა თავის სიმაღლეზე ადმინისტრაცია სოფლად, ერობებიც ისეთ მახინჯ გზას დაადგნენ, რომ თვითეული ო�i თავისებურად განაგებდა ყველაფერს, ვისაც როგორ მოეპრიანებოდა. სადაც ისეთი პირები მოიპოებოდნენ ერობებში, რომ სინდისერობის ცოტაოდენი ნატამალი მაინც ჰქონდათ, ცოტად სწუხდებოდა სოფელი, ხოლო სადაც მთელი შემადგენლობა უპასუხისმგებლო ვეუბატონებისაგან იყო შემდგარი იქ მთლად შეიფროებული იყო გლეხობა და ადამიანის პიროვნება ფეხქვეშ იყო გათელილი.

ბოლოს და ბოლოს ერობებმა ისეთი ხასიათი მიიღეს, რომ მთლად გათახსირდნენ და დავიწყებას მისცეს ის დაპირებანი და მოვალეობანი რაც მათ დანიშნულებას შეადგენდა. პირველად დიდის რიხით და ხმამაღლა გაჰკიოდნენ:

— რაც აქამდის იტანჯეთ ნიკოლოზის რეჟიმისაგან, გეყოთ! დღეის იქით ჩვენ, ერობები, ვიქნებით თქვენი ყურის მგდებელნი, გაგიკეთებთ კარგ გზებს, გაგიხსნით სკოლებს, სიმშილობისგან დაგიხსნით, დაგიარსებთ საავადმყოფოებს; გეყოლებათ ექიმები, დახმარებას აღმოგიჩენთ სამეურნეო იარაღით და საქონლის ჯირისაგან მოყენებულ ზარალს აგიანაზღაურებთო!

მაგრამ, როდესაც მოიკალათეს თბილ ალაგებზე, გაუტკბათ პურ-მარილი, მიეცნენ უშრომლად მშრომელ გლეხობის ხარჯზე ტკბილ განცხრომით ცხოვრებას, დაივიწყეს ყოველნაირი დაპირება და თავიანთი საქმიანობა-მოღვაწეობა შესცვალეს თვითნებობით, ქეიფით, გადაპარებულ მექრთამეობით და ისეთ ჭაობში შესცურეს, რომ გლეხობას ჭირივით შეეზიზღეს საერობო დაწესებულებები.

როგორც თავიდან მოგახსენეთ, სოფელი იმ თავიდან აბუჩად არის აგდებული და დღემდის თითქმის სოფლისთვის დადებითად არაფერი გაკეთებულა. ჯერ იყო და აწ განსვენებულ ნიკოლოზის დროს ცენტრიდან ინიშნებოდა ისეთი ვიგინდარა „ჩინოვნიკები", რომელთაც სოფელი მარტო სათლელად მიაჩნდათ და გლეხის პიროვნება სასაცილოდ მიაჩნდათ. მიცვალა ძველი რეჟიმი თუ არა, სოფელს ეგონა ეხლა კი გამოიდარა მისთვის, მაგრამ ახლაც მოსტყუვდნენ.

გამოცხადდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა, ეს რასაკვირველია სოფლის მშრომელ გლეხობას ცის მანანასავით მოეფლინა, უზომო სიხარული გამოიწვია მათში, რადგან უცხო ენის ბატონობით მუნჯად ქცეულს საშუალება ეძლეოდა სამშობლო ენაზე მოეწყო ყველაფერი და ისეთი ხელმძღვანელნი ჰყოლოდათ, რომელნიც პირისუფლობას გაუწევდათ დიდიხნიდან უპატრონოდ მიტოვებულთ, მაგრამ იმედები გაუცრუვდათ. თუ ერთის მხრივ გახარებულნი იყვნენ იმით, რომ სამშობლო ენით შეეძლოთ თავიანთ პირ-ვარამის გამოთქმა, მეორე მხრით დაიჩაგრნენ იმით, რომ სოფლად მოექცნენ ისეთი ადმინისტრატორები, რომელთაც არაფერი გაეგებოდათ, სოფლისთვის არაფერს ზრუნავდნენ და მხოლოდ პირადის ბედნიერებისთვის ფიქრობდნენ და ანგარებით იყვნენ გატაცებულნი.

შეგნებული ინტელიგენცია ძველათაც გაურბოდა სოფელს და ქალაქად კაბინეტურ-კანცელიარული მოღვაწეობა უფრო სასარგებლოდ მიაჩნდა, საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ხომ უფრო გაცხოველდა ეს სურვილი და ვისაც კი რამ გაეგებოდა ქვა და გუნდა მიაგდო სოფელს, ყველამ ქალაქისაკენ იბრუნა პირი, ყველას პორტფელის დაჭერის სურვილი გაეღვიძა, ხოლო სოფლათ ისეთ ნაირთ დარჩათ ბურთი და მოედანი, რომელნიც ზედმეტ ნაძირალს წარმოადგენდა, თუ არ მივიღებთ თითო-ოროლა გულშემატკივართ, რომელთაც ამნაირ მძარცველებთან მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა.

საჭირო იყო დღეს მაინც გახსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფელს, დაპირებას პრაქტიკული ხასიათი მიეცეს, გლეხის ჭრილობებს მალამო დაედოს, რადგან გლეხობას ცარიელი სიტყვები ნაკლებად სჯერა და ყველაფერს პრაქტიკულის თვალით ზომავს. სასურველია ერთნაირი გარკვეულს სახელმძღვანელო ინსტრუქციით მოქმედებდეს ახალი რევკომები, გათვალისწინებულ იქმნას ხალხის, ესე იგი, მშრომელი გლეხობის სურვილები, ზნე-ჩვეულებანი, ადგილობრივი პირობები და იმისდაგვარად ახალი წეს - წყობილების დამყარება. გლეხობა დიდის იმედით უყურებს ახალ სოციალისტურ მართველობას საქართველოში და გულის ფანცქალით ელის ნამდვილ გულშემატკივარ წინამძღოლთ.

ამ-ჟამად ჯერ-ჯერობით ვერ არის გარკვეულ გზაზე დამდგარი სოფელი და ბევრ გაუგებრობას აქვს ადგილი, გავრცელებულია ათასნაირი ჭორები და ყველა თავისებურად იქცევა, ვისაც რა მოეპრიანება. ზოგი ბოროტი ენა იმასაც იძახის და ყალბად აჯერებს გლეხს.

—რათ გინდა ბევრი რომ მოხნა, სულ ერთია რაც მოგივა წაგართმევენ, დღეში ერთ გირვანქას დაგიტოვებენ სულზედაო!—შეშინებული გლეხიც გაიძახის: რათ გავტეხო დღე და ღამე შრომით, თუ კი სხვები წამართმევენ, მეც იმდენს მოვიყვან, რაც მე მეყოფა; დანარჩენ დროს კი მხარ-თეძოზე წამოვწვები არხეინათ!..

ამასთანავე ერთ დიდ გაუგებრობასაც აქვს ადგილი სოფლად, ე. ი. გორის მაზრაში, ყველას კარგათ მოეხსენება, რომ წარსულში ოსის და ქართველ შოვინისტ-პროვოკატორების წყალობით ბევრჯელ აჯანყდნენ ოსები მენშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ, რისთვისაც მკაცრი ზომები იხმარა უკანასკნელმა და ბევრი ოსი დაზარალდა ერონებრივად: დაიწვათ სახლ-კარი და დაჰკარგეს საქონელი, ეს რასაკვირველია არავისთვის იყო სასიამოვნო. ამ წარსულმა გაუგებრობამ მოიტანა თავისი საშინელი შედეგები და გაშმაგებით იძიეს შური ოსთა ბრბოებმა. ყველა თვის ცხადია თუ რანაირი შემაძრწუნებელი ამბები დატრიალდა ცხინვალის რაიონში. დღესაც დაწმენდილი არ არის წყალი და თუ მკაცრი ზომები არ იქმნა მიღებული პროვოკატორთა და შურის მთესველთა წინააღმდეგ შეიძლება ფარული შედეგები მივიღოთ.

ამ ორ მშრომელ ძმათა შორის რასაკვირველია დიდი დამნაშავენი არიან ისინი ვინც შურსა და დავარძლს სთესენ, ადვილებენ ნაციონალურ შუღლს და ერთმანეთს უსვენ მშვიდობიან მცხოვრებთ.

ამასთანავე უნდა ადვნიშნოთ რომ წინად დაკარგულ საქონელს დაეძებენ ოსები, რომელნიც ჯარმი მომეტებული ნაწილი დაჰკლა და შეჭამა, ამ ძებნის დროს ბევრი უსამართლობა ჰხდება. ამ ცოტა ხნის განმავლობაში თუ საქონელი უყიდნია ქართველ გლეხს მამასისხლათ, დღეს ოსები იჩემებენ, ბრალიანსა და უბრალოს ხელს ადებენ ჩემი არისო და პირში ჩალა გამოვლებულს სტოვებენ ამ ხვნის დროს. ზოგი ამნაირ ხრიკს ხმარობს: ჯერ გაიგებს როდის უყიდნია, შემდეგ ჩუმათ ნიშნებს დაიხსომებს საქონლისას, წავა სხვას გადასცემს, აიღებს მოწმობას ვითომდა იმისია და ამნაირად ხელიდან აცლიან ნაყიდ საქონელს. საჭიროა ყველა ამას ყურადღება მიექცეს და ერთხელ და სამუდამოდ გამოირკვეს, როდემდის იქნება ვადა ამნაირ გაუგებრობას.

მშრომელი გლეხი.

ზრომის ბირუასთან

უმუშევართა სიაში ჩასაწერად მისული რამდენიმე ათას ხალხში დავინახე ორი ნაცნობი ხელოსანი, მჭედელი და დურგალი. დგომისაგან დაღლილები ჩამჯდარიყვნენ და ერთი მეორეს ელაპარაკებოდენ.

გამარჯობა, ამხანაგებო; აქ რად მოსულხართ?

უნდა ჩავეწეროთ უმუშევართ. სიაში.

კაცო! თქვენ პატარა სახელოსნოები გაქვთ.

ეჰ. ჩემო ძმაო! ერთი არაკი გვჭირს. შიგ არ იყო ძმარიო, ჩასულიყო წყალიო.—და ისევ გაანგრძო: ჩვენ ხელოსნები ნიკოლოზის დროსაც გაჭირვებული ვიყავით და ჩვენს მოთხოვნილებებს ვერ ვაკმაყოფილებდით, თორემ ეხლა ქვეყნის ნგრევის დროს ახლის დასამყარებლათ, ვის რად ეკვირება ჩვენი ხელობები? პურის ფული ვერ გვიშოვია, ცოლშვილი მშივრებია და ტანის-სამოსზე ფიქრი ზედ მეტია,—სთქვა მჭედელმა.

მართალია ამხანაგო, ერთი კაცი სამეედლოში ვერას გასჭედს და აგრეთვე დურგლობაშიდაც არ ვარგა, სთქვა დურგალმა, მენშევიკების დროსაც ქარგალ-შეგირდების დროსაც ვერ გაუძელიათ თორემ, ამა ეხლა ბოლშევიკურ კომუნალურ ხანაში გაიძახიან კერძო საქმიანობა ძირსო, გაუმარჯოს საერთო ქმნილებასო, და ჩვენც ამას უნდა შევურიგდეთ. მაგრამ გასაოცდეს, ამხანაგო! ქართველი კომუნისტები დარჩებიან საქართველოში მიწნების ცხოვრებაში გასატარებლათ, თუ დედა-ენის მეერმეტყველობით შეაჩვევს ხალხს მთელ საქართველოში საერთო შრომას და არ მიიკემა უპირატესობა სხვა ერთა ენას საქართველოს. ს. ს. ს. რესპუბლიკაში. ამხანაგო, რისთვის ვმუშაობთ, ფულისთვის, არა, ცდები, ამხანაგო. ცხოვრებისთვის ვმუშაობთ და თუ რასაც ეხლა ჩვენ ფულით ვიძენთ, მივიღებთ საერთო საწყობებიდგან რატომ არ იმუშავემ ოცა საათს ერთ-გულათ საერთო საწყობისთვის? აგრე ჰფიქრობენ მემარცხენე სოციალისტები, თუ გაატარეს ცხოვრებაში, რომელიც მაგალითი იქნება ევროპის მუშებისთვის.

ამხანაგო! შენ მაინც დიდი ხანია მიცნობ, როგორ გამოვიცვალე ხელობები დროს და მიხედვით. ნიკოლოზის დროს სახლებს ვაკეთებდი, ჟორდანიას დროს სახლებს ვინ ააშენებდა? მდგმურების დათხოვნა არ შეეძლოთ პატრონს ადვილად. და ეხლა სულ ართმევენ უფლებას პატრონს მგონია და სანამ ახალი კანონი დადგება ამშენებლობისა, მანამ პეტრეს მოსვლამდი პავლეს ტყავს გაძარცვდა. გახსოვს, ძმაო, მენშევიკურ მთავრობის პირველ ხანებში ისპანკით იხოცებოდა მრავალი ხალხი, რამაც გადამაქცია მიკუბოვით; დამზადებულს ვაძლევდი დამკრძალველ ბიუროებს, რომელსაც ისინი სამჯერ მეტად ჰყიდნენ, რამაც გაამდიდრა ვეუბატონები?

უკაცრავად, ამხანაგო, დაუმატა მჭედელმა: ჟამის გარდა ათასობით რომ აწყდება ერი ერს, ძმა და ძმას, დაუკვირდი, რისთვის არის? და რაც შეეხება დაკრძალვის საქმეს, დიდიხანია საჭირო იყო ყურადღების მიქცევა და ეხლა მაინც დაიწესებენ, რომ ექიმ-წამლობისაგან გადატანებულ ობლებს მარჩენალისათვის მისცენ მუქთი კუბო!

დიახ, ამხანაგო, შეწყდა ისპანკაც. დავრჩი უსაქმოდ. გავხსენი ავეჯეულობის სახელოსნო, დამზადებულს ვაძლევდი მაღაზიებში.

კაცო, გუშინ გავიარე ბაზარში, სულ მიკეტილ მიბეჭდილია მაღაზიები.

ამხანაგო, რაშია საქმე? რადაც ხალხი ერთი-მეორეს აწყვება, უკან ბრუნდებიან. დრო გადასულა, დღეს მეტს ადარ სწერავენ, ხვალ 9 საათზე მობძანდითო.

იმხანაგო, სამი დღეა დავდივარ და ჩაწერა ვერ მოვახერხე უმუშევართა სიაში, კაცო ამოდენა ხალხი თუ უსაქმოთ არიან, პური გირვანქა რატომ ასი თუმანი არა ღირს?

რადა აკლია? თუ სადმე ვშოულობ, ჩუმად ვაძლევ სამოც ოთხმოც თუმანს და არ ვიცი რა გვეშველება ამ სიძვიერეში უსაქმოებს ჩვენს ქვეყანაში. ნეტავ რა დარჩენიათ საქართველოში ამოდენა უცხო უსაქმო არა მკითხე მოამბე მცხოვრებთ? მაგრამ ვიმედობ ეხლანდელი მთავრობა ყოველ ჩაგრულს დაუბრუნებს თავის კერას და თავიანთ ენით შეაყვარებს შრომის ხანას. და აგრეთვე საქართველოს შრომის ხანაც აყვავდება, რაც გაამართლებს მუშათა და გლეხთა მოლოდინს.

კაცო, გუშინ კედელზე იყო ქაღალდი მიკრული და ეწერა ქალ. ტფილისში ბურჟუა ალარ იქნება; ვიფიქრე; ამა დატაკი რას გაგაკეთებინებს—დავკეტე ჩემი პატარა სახელოსნო და ვიდექ მეც შენთან რიგში. ეხლა რა ვქნათ? წვრილი სახელოსნოები რომ შევაერთოდ, გავაკეთოდ არტელი შევაერთოდ ძალები, დავდგეთ და ვიმუშაოთ ძმურათ, ვითომ რა? უპარტიონი ვართ, მიტომ ხელს არ ძოგვიწყობენ? მთავრობას მანდამაინც პარტიობაც არ აკმაყოფილებს. იყავი მუშა პატიოსანი, იშრომეთ ყველამ ყველასათვისო. რად გვეშინია ბალშევიკების? მთელი ქვეყანა, მიწის მუშებმა და ხელოსნებმა ააშენეს, დანგრევა და აშენება ჩვენი საქმეა; თუ საძირკველი მაგარი დავდგით, მაზედ შენობაც უკვდავი იქნება; მაშ გაუმარჯოს ტანჯულ ხალხის გამოფხიზლებას.

ეხლა მშვიდობით, ამხანაგო, ხვალ განახავთ!

დურგალი.

სოლოლაკის შტაბი

დღიდგან რევოლიუციონურ გადატრიალებისა რუსეთში 1917 წლიდან ზემო სოლოლაკის მცხოვრებთა დადგენილებით დათხოვნით უბნის დასაცავად ქურდბაცაცებისაგან შედგენილი იქმნა თავდაცვის რაზმი და დღემდე პირნათლად ასრულებდა მოქალაქეთაგან დაკისრებულ ოპერაციებსა. რაზმი შესდგებოდა უბნის—რაზეულ პირთაგან „ნებაყოფლობითი" ჩვენლად პარტიისა და ორგანიზაციის ნებადვილი მუშაობისა, მოვალეობას ასრულებდნენ მორიგეობით, დამლამობით. მუშაობის შემდეგ სრულიად უსასყიდლოდ და დიდ დახმარებას უწევდა მილიციას უბნის ქურდებისაგან გაწმენდაში. ყველას მოეხსენება, რომ ზემო სოლოლაკის რაიონი არის უდარიბესი ნაწილი მე 3-მე უბნისა, თუ გინდათ მთელი ტფილისისა, შესდგება წმინდა მშრომელ ელემენტებისაგან, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვს ქვემო სოლოლაკის ბურჟუაზიასთან. რასაკვირველია ესეთ უბანში ადვილად ინახავდენ თავს ყოველ ჯურის ნაძირალები და ქურდბაცაცები. თავდაცვის შტაბმა ეს უბანი ამგვარ ელემენტებიდგან სრულიად გასწმინდა. დღიდგან საბჭოთა ხელის უფლების განმტკიცებისა. საქართველოში, შტაბი დაიშალა და უბანში დღემდე თარეშობენ ციხიდან გამოშვებული ძველი ნაცნობი ჯიბგირები და ავაზაკები, ხალხი შიშის ქვეშ არის დაყენებული ღამე შინიდან გარეთ ვეღარ გამოდიან. 9 საათს შემდეგ უბანი სრულიად კვდება, ქურდები თავისუფლად დაბრძანდებიან სახლებში და ძარცვავენ; ზოგი მათგანი სამსახურშიაც ჩადგა და წითელ ბანტებით თავისუფლად დაბრძანდებიან უბანში, ვერავისთვის ხალხს ვერ მიუმართავს ნათი შიშის გამო. იმედია სათანადო მთავრობა ყურადღებას მიაქცევს უბანს შტაბის ადგენით დაგვიფარავს მავნე პირებისაგან, ვერაფერი გარეშე ძალა ისე ვერ დაიფარავს უბანს როგორც მისივე არჩეული შვილები, რომელთაც დაწვრილებით იციან უბნის ავკარგი.

სოლოლაკელი.

რედაქტორი თედო ლლონტი.
გამოსცემს დრ. მთავარი კომიტეტისა.

1921 წ. მარტის 30 **დავკარგე** პორთ-ფელი შიგ იყო, წლოვანების ნუსხა, მანდატი ფედერალისტებისა და ნებართვა იარაღის ტარებისა. ჩვენელს მივმართავ ფული დაიტოვოს საბუთები კი გამომიგზავნოს სად. ძირულაში სერგო დევდარიანი. 723

დავკარგე მეტრიკული № 2098 საბრძნის მეტყველების ფაკულტეტისა, მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სტუდენტ ირაკლი გიორგის ძე წამალაშვილის სახელობაზე, გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულად. 724.

დაკარგა ტფილისის სახ. უნივერსიტეტის საბრძნის მეტყველების ფაკულტეტის სტუდენტის ნიკოლოზ დგებუაძის 1) პიროვნების მოწმობა, მიღებული უნივერსიტეტიდან და 2) შესასვლელი ბარათი. ორივე გაუქმებულია. 725.

დავკარგე მეტრიკული და პირადობის მოწმობა მიცემული სახ. უნივერსიტეტის საბრძნის მეტყველების ფაკულტეტის, ეკონომიურ დარგის სტუდენტ გიორგი ნაუცრიშვილის სახელზე. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 727

დავკარგე შესასვლელი ბარათი და პირადობის მოწმობა მოცემული სახელ. უნივერსიტეტის სამათ.-საბუნებისმეტყ. ფაკულტეტის, საავრონომიო დარგის სტ. ვარლამ ტაბატაძეს სახელზე, გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 728

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული სახელ. უნივერსიტეტის სამათ. საბუნების-მეტყველო ფაკულტეტის საავრონომიო დარგის სტ. პეტრე ლორთქიფანიძეს სახელზე. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 729

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად სიფილისი (914 ტ 606) სქესობრივი უძლურება, ვენერიული ტრიპერი და შედეგები.
ახალი ბებუთოვის ქ. ცეცხლის მჭრობელ რაზმის ახლო. 732